მომსახურების ხელშეკრულება (ვებსაიტის დამზადება)

ქ.თბილისი_____ თარიღი_____
ერთის მხრივ, ფიზიკური პირი/ინდ. მეწარმე, პირადი ნომერი _____
მცხოვრები_____პირადობის მოწმობის ნომერი_____
გაცემული_____წ. (შემდგომში დამკვეთი)

და

მეორე მხრივ ფიზიკური პირი, პირადი ნომერი _____
მცხოვრები_____პირადობის მოწმობის ნომერი_____
გაცემული_____წ. (შემდგომში შემსრულებელი)
(შენიშვნა: თუ შემსრულებელი ან დამკვეთი იურიდიული პირია, მაშინ მიეთითება მისამართი, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი და მარეგისტრირებელი ორგანო, წარმომადგენელი ფიზიკური პირის სახელი და გვარი)

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალებით, წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:
_____

2. მომსახურების წესი

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მაღალკვალიფიციურად, პროფესიონალურ დონეზე.

2.2. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს წინამდებარე ხელშეკრულების _____ვადაში.
2.3 მომსახურების გაწევის პროცესში შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს დამკვეთის მითითებები.

3. ინტელექტუალური საკუთრება

3.1. ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიქმნება შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის: კოდი, დიზაინი, გრაფიკა, ტექსტური მასალა), წარმოადგენს შემსრულებლის საკუთრებას.
3.2. საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები დამკვეთს გადაეცემა სრულად და ექსკლუზიურად მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამკვეთი სრულად დაფარავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების საფასურს.
3.3. შემსრულებელი იტოვებს უფლებას, გამოიყენოს შექმნილი პროდუქტის ვიზუალური მხარე (Screenshots/Case Study) საკუთარ პორტფოლიოში და მარკეტინგული მიზნებისთვის (Swift Web Studio-ს პლატფორმებზე)."
დეტალური ტექნიკური დავალება (დანართი N1) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს". ნებისმიერი რამ, რაც დავალებაში არ წერია, დამატებითი ანაზღაურების საგანია

4. სამუშაოს მოცულობა და "Scope Creep"

4.1. სამუშაოს მოცულობა: მომსახურების დეტალური ჩამონათვალი და ფუნქციონალი განსაზღვრულია დანართში N1 (ტექნიკური დავალება). ნებისმიერი დამატებითი ფუნქცია ან ცვლილება, რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართში, განიხილება როგორც სამუშაოს მოცულობის გაზრდა და საჭიროებს დამატებით ანაზღაურებას მხარეთა შეთანხმებით 4.2. შესწორებები (Revisions): დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს არაუმეტეს 2 (ორი) უფასო შესწორება პროექტის თითოეულ ეტაპზე. ყოველი შემდგომი ცვლილება ექვემდებარება დამატებით ანაზღაურებას.

5. მესამე მხარის ხარჯები

5.1. მესამე მხარის ხარჯები: ხელშეკრულების ფასი არ მოიცავს მესამე მხარის მომსახურების ხარჯებს, როგორიცაა: დომენის რეგისტრაცია, ჰოსტინგი, ფასიანი შრიფტები, ფასიანი პლაგინები ან API სერვისები. აღნიშნულ ხარჯებს ანაზღაურებს დამკვეთი დამოუკიდებლად.

6. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

6.1 დამკვეთი არის ვალდებული გადაუხადოს შემსრულებელს გაწეულ მომსახურებაში _____ლარი. (შენიშვნა: თანხა მიეთითება გადასახადების ჩათვლით ან მის გარეშე, რასთან დაკავშირებითაც ხდება მითითება)
6.2. შეთანხმებული საზღაურის გადახდა მოხდება მომსახურების გაწევიდან არა უმეტეს _____ ვადაში.
6.3. ანგარიშსწორება წარმოებს _____ (ნაღდი/უნაღდო) ანგარიშსწორების წესით.

6.4. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს შემსრულებელი გადაიხდის პირადად.
6.5 მომსახურების გაწევის შემდგომ, მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს–მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან

და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

10. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მოხდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი:
პ.ნ/ს.კ:
მისამართი:
საკონტაქტო მეილი:
საკონტაქტო ტელ.ნომერი:
საბანკო ანგარიშის ნომერი:
ხელმოწერა:

შემსრულებელი:
პ/ნ:
მისამართი:
საკონტაქტო მეილი:
საკონტაქტო ტელ.ნომერი:
საბანკო ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა:

Swift Web Studio / Techinsider Holding LLC, All rights reserved | Signify